

12 მთაწმინდელი მოძღვრის მნიშვნელოვანი გზავნილი წმინდა კინოტისადმი უკრაინულ საკითხთან დაკავშირებით

წმინდა მთა, 2019 წლის 17 მარტი
ვის: ათონის წმინდა მთის პატივცემულ
კინოტს, კარიესი

თქვენო მაღალღირსებავ, პატივცემულო მამებო და ქრისტეში ძმებო, გვაკურთხეთ

დიდი მწუხარებით და შეშფოთებით შევიტყვეთ იმის შესახებ, თუ რა ხდება მთელ მართლმადიდებლურ ეკლესიაში უკრაინელი სქიზმატებისათვის არაკანონიკური ავტოკეფალიის მინიჭების გამო, რომელიც გაკეთდა ადგილობრივი კანონიკური ეკლესიის თანხმობის გარეშე, ეკლესიისა, რომელსაც ხელმძღვანელობს მიტროპოლიტი ონოფრე და რომელიც მიიჩნევს ახალ ავტოკეფალისტებს ერეტიკოსებად, არა აქვს მათთან ერთობა, წმინდა კანონების თანახმად, და ასევე ყველა იმასთან, ვინც სქიზმატებთან ერთად ეზიარება. რუსეთის ეკლესიამ უკვე შეწყვიტა ურთიერთობა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან, რომელმაც ავტოკეფალია თვითნებურად მიანიჭა, შეიჭრა რა სხვის იურისდიქციაში, წმინდა კანონების მკაფიო აკრძალვის უგულვებელსყოფით. ამასვე გააკეთებს (ანუ შეწყვეტს ურთიერთობას) ასევე ყველა დანარჩენი ავტოკეფალური ეკლესია, როგორც ეს მათ განაცხადეს. ამგვარად ჩვენ გვემუქრება 1054 წლის განხეთქილების მასშტაბების ანალოგიური განხეთქილების გაფართოება და გავრცელება.

ჯერ კიდევ არ მომუშებულა ჭრილობები და ტრამვები, გამოწვეული კრეტაზე ჩატარებული კოლიმბარის კრებით¹, რომელმაც მწვალებლობების ეკლესიაში შემოტანითა და მწვალებლობათა მწვალებლობის, ეკუმენიზმის დამტკიცებით გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი მართლმადიდებლურ წმინდამამობრივ და კრებისადმი გადმოცემასთან, რომელიც გმობს მწვალებლობებს. ჩვენ მოგველის ახალი ჭრილობები ეკლესიის სხეულზე და ერთადერთი დამნაშავე – კონსტანტინოპოლის პატრიარქია, უკვე არა მწვალებლობის დაკანონებაში, არამედ განხეთქილებების შემოტანაში.

ამგვარად, ფერხდება და რთულდება ადამიანის გადარჩენა. წმინდა წერილში და წმინდამამობრივ გადმოცემაში ხომ ათასგზის არის ნათქვამი, რომ მწვალებლობასა და განხეთქილებას დანაკარგებისკენ მივყავართ, იქ არ მოქმედებს წმიდა სული. ჩვენ

¹ კოლიმბარის კრება – ე.წ. სრულიად მართლმადიდებელთა კრება, რომელიც ჩატარდა კრეტაზე 2016 წლის 16–27 ივნისს კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეს ინიციატივით, რამდენიმე მნიშვნელოვანი ადგილობრივი ეკლესიის ნების საწინააღმდეგოდ. კრებამ მიიღო ერეტიკული, ეკუმენისტური დოკუმენტები. კრება ვერ ჩაითვლება ვერც კანონიერად და ვერც ლეგიტიმურად გამომდინარე იქიდან, რომ კრებას არ დაესწრო რამდენიმე ადგილობრივი ეკლესია, რომლებიც მართლმადიდებლურ სამყაროში ჯამურად წარმოადგენენ მართლმადიდებელი სამწყსოს უმრავლესობას. კრების მომზადებასა და ჩატარებას აშკარად ეტყობოდა ძალადობრივი ნიშნები კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსა და მის ზურგს უკან მდგარი ძალების მხრიდან. აღსანიშნავია, რომ კრეტის კრების ჩატარების ორგანიზაციაში აშკარად მოჩანდა აშშ–ს როლი. ისიც მრავალზე მეტყველებს, რომ კრების მუშაობას მთელ პერიმეტრზე ოფიციალურად იცავდნენ აშშ–ს სპეცსამსახურები – (მთარგმნელის შენიშვნა).

შემოვიფარგლებით მხოლოდ რამდენიმე მტკიცებულებით. ბასილი დიდი განხეთქილებას მიიჩნევს მეორე განდგომილებად მწვალებლობის შემდეგ. ის გვასწავლის, რომ ისინი, ვინც მიდიან ეკლესიიდან განხეთქილებაში, მათ აღარა აქვთ წმიდა სულის მადლი, იმიტომ, რომ ერთობის შეწყვეტას მათზე წმიდა სულის მოქმედების შეწყვეტისკენ მიყვავართ. ის ასევე ამბობს, რომ განხეთქილებაში მყოფებს აღარ შეუძლიათ გადასცენ სხვებს ქრისტიანული საიდუმლოებები – მადლი, რომელსაც ისინი თავად დააკლდნენ. ასევე, წმ. იოანე ოქროპირი გვაფრთხილებს განხეთქილებების გაჩენის თავიდან ასაცილებლად, ის გვასწავლის, რომ ეკლესიის გაყოფა არანაკლები ბოროტებაა, ვიდრე მწვალებლობაში ჩავარდნა. ის მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ ისე არაფერი არისხებს ღმერთს, როგორც გაყოფები და განხეთქილებები და იხსენებს წმინდა მამის აზრს, რომლის თანახმადაც თვით მოწამებრივი სისხლი ვერ ჩამორეცხს განხეთქილების ცოდვას.

მწვალებლობა და განხეთქილება ეს ეშმაკის საქმეა. როდესაც მას არ შეუძლია ცხონება მწვალებლობით გაართულოს, ის მოქმედებს განხეთქილების პროვოცირების გზით. მთელი ეკლესიის კრებისითი აზრი გადმოცემულია პატრიარქ ფოტის დროინდელი კონსტანტინოპოლის ორგზისი კრების (861წ.) მე-13 კანონით: "ვინაფთგან ღუარძლი წვალებათაფ ეკლესიათა შინა ქრისტესსა დასთესა ყოვლად ბოროტმან და ხედვიდა მათ მახვლითა სულისათა მოჭრილად და ძირითურთ აღმოფხურილად, სხუასა სივერაგესა გზასა და სიბორგილთა განხეთქილების მოქმედთაფთა განჭრად გუამსა ქრისტესისა მოღუაწე იქმნა".

ჩვენი შემფოთებისა და ამ წერილის შედგენის მიზეზი არის სურვილი განვაცხადოთ, რომ არ გვინდა ჩვენ, მთაწმინდელებს, განხეთქილების მონაწილენი გავხდეთ და ამით ჩვენი გადარჩენა საფრთხეში აღმოჩნდეს. ჩვენ დავტოვეთ სოფელი და ყველა ამსოფლიური სიამოვნებანი, ვიტვირთეთ სულით და ხორციტ ასკეტური ღვაწლი, რათა მოვიპოვოთ ღმრთის წყალობა. განა არ იქნება უპატიებელი დაუდევრობა და უგუნურობა, რომ უსარგებლოდ ვაქციოთ ჩვენი შრომა და მოლოდინი, თუკი ურთიერთობა გვექნება უკრაინელ განხეთქილების მოქმედებთან, რომლებიც განკვეთა რუსეთის ეკლესიამ, ეკლესიამ, რომელსაც უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია (უმე) კანონიკურად უკვე სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ექვემდებარება, სტაბილურად, უწყვეტად და ყველა მართლმადიდებლის მიერ საყოველთაოდ აღიარებულად, გარდა კონსტანტინოპოლის პატრიარქატისა? მოცემულ შემთხვევაში წმინდა კანონების ღალატის პოზიცია უკიდურესად ცხადია. ღაოდიკიის კრების 33-ე კანონი კრძალავს ერეტიკოსებთან და სქიზმატებთან საერთო ღოცვას. ხოლო ანტიოქიის კრების მე-2 კანონი განაჩინებს, რომ ის, ვინც ურთიერთობს განკვეთილთან, თავადვე განკვეთილ იქნეს და რომ სხვა ეკლესიას არ შეუძლია აღადგინოს განკვეთილები: "არა ჯერ-არს ზიარებაფ უზიარებელთაფ, არცა სახლთა შინა შეკრებულთა თანამლოცველობაფ, რომელნი არა თანამლოცველნი იყვნენ ეკლესიასა შინა, არცა სხვსა ეკლესიისა მიერ შეწყნარებაფ, რომელნი არა შეკრებოდინ ეკლესიასა შინა, ხოლო უკუეთუ ვინმე გამოჩნდეს ეპისკოპოსთაფ, ანუ ხუცესთაფ, ანუ დიაკონთაფ, ანუ ვინცა ვინ სამღვდელოთაგანი მაზიარებელად უზიარებელთა, უზიარებელ იქმნეს იგიცა, ვითარცა შემრეველი კანონთა ეკლესიისათაფ". განკვეთილების აღდგენა სხვა არავითარ კრებას არ შეუძლია, გარდა იმ კრებისა, რომელმაც ისინი დასაჯა.

ყველა ის, ვინც არღვევს ამ კანონს, როგორც ეს გააკეთა პატრიარქმა ბართლომემ უკრაინელ სქიზმატებთან დაკავშირებით, რომლებიც განკვეთა რუსეთის ეკლესიამ, და შესაბამისად, მხოლოდ მას შეუძლია განკვეთილების აღდგენა, განიკვეთება ეკლესიიდან. ამას გვკარნახობს ჩვენ იმავე ანტიოქიის კრების მე-4 კანონი: "უკეთუ ვინმე კრებისაგან განკუეთილმან ეპისკოპოსმან, გინა ხუცესმან, ანუ დიაკონმან თვისისა ეპისკოპოსისაგან იკადროს მერმეცა მღვდელობად, ანუ ეპისკოპოსმან ქმნად რაღსამე პირველისაებრ ჩუეულებისა, ანუ ხუცესმან, ანუ დიაკონმან, არღარა უღირს მას ქონებად სხვსა კრებისაგან სასოებასა კუალად—გებისასა, არცა ადგილსა სიტყვს—გებისასა ქონებად, არამედ ზიარებულთაცა და მაზიარებელთა მისთა ყოველთა განკდად² ეკლესიით და უფროდსდა, უკუეთუ ესწავა მათ განჩინებისა ამის გამოსვლად მისთვის და იკადრეს ზიარება მათი".

იმ დროს, როდესაც უკრაინის საეკლესიო საქმეებში ყველაფერი მარტივად იყო, პატრიარქ ბართლომეს სხვის იურისდიქციაში უკანონო ჩარევის შემდეგ და განკვეთილებთან ურთიერთობით ყველაფერი ძალიან სახიფათოდ გართულდა. 1686 წლამდე უკრაინა (უკრაინის ეკლესია) ექვემდებარებოდა მსოფლიო პატრიარქს, ისევე, როგორც 1590 წლამდე რუსეთის ეკლესია. 1686 წელს პატრიარქ დიონისე IV–ის ქმედებით ის (უკრაინის ეკლესია) გადაეცა მოსკოვის პატრიარქატის იურისდიქციას, სადაც ის იმყოფება დღემდე 333 წლის განმავლობაში მართლმადიდებელ სამყაროში საყოველთაოდ მიღებული წესის თანახმად. კომუნიზმის დაცემის შემდეგ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამ მიგვიყვანა დამოუკიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის საკითხთან. ეს არის კანონიერი და დასაბუთებული სურვილი, რაზეც რუსეთის ეკლესიამ ნაწილობრივ მოახდინა რეაგირება, მიანიჭა რა "უმე"–ს ფართო ავტონომია, მაგრამ არა ავტოკეფალია. ამასთან დაკავშირებით მოსკოვის პატრიარქად არ არჩევის გამო უკმაყოფილო კიევის მიტროპოლიტმა ფილარეტმა, იმ დროს რუსეთის ეკლესიის ჯერ კიდევ კანონიკურმა მღვდელმთავარმა, მოახდინა განხეთქილების პროვოცირება, შექმნა თავისი დამოუკიდებელი "ეკლესია", რის გამოც იქნა დასჯილი განკვეთითა და ანათემირებით. იყო კიდევ ერთი განხეთქილებაში მყოფი "ეკლესია", განკვეთილი მღვდლის, მაკარი მელიტიჩის ხელმძღვანელობით, რომელიც შემდეგ იქნა "ეპისკოპოსად ქიროტონირებული" არა უბრალოდ სქიზმატების, არამედ თვითმარქვეების (მოციქულებრივი მემკვიდრეობითობის არმქონეთა) მიერ. ეს ორი სქიზმატური გაერთიანება, რომელთაც ასეთებად თვლის ყველა მართლმადიდებელი, ცოტა ხნის წინ (15.12.2018) გაერთიანდა და ეს გაერთიანება ურთიერთობაში (6.01.2019) მხოლოდ პატრიარქ ბართლომესთან იმყოფება. ხოლო რაც შეეხება კანონიკურ ეკლესიას, ასეთად ყველა მიიჩნევს რუსეთის ეკლესიის იურისდიქციაში მყოფ უკრაინის ავტონომიურ ეკლესიას მიტროპოლიტ ონოფრეს წინამძღოლობით.

ჩვენ მეტს არ ჩავუღრმავდებით კონსტანტინოპოლის უკრაინულ საკითხებში ჩარევის ისტორიულ, კანონიკურ და გეოპოლიტიკურ ანალიზს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მივუთითოთ ეკლესიოლოგიურ და სოტეროლოგიურ³ შედეგებზე

² განკვეთა ეკლესიისგან – (მთარგმნელის შენიშვნა).

³ სოტეროლოგია – სწავლება სულის ცხოვნების შესახებ – (მთარგმნელის შენიშვნა).

და გადაწყვეტით, თუ რა პოზიცია უნდა დავიკავოთ, და ასევე გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება საფრთხეებთან დაკავშირებით. დიდი ხანია ცნობილია, რომ პატრიარქი ბართლომე დიდ პატივისცემას არ იჩენს წმინდა კანონების მიმართ, რომლებიც მან მრავალჯერ დაარღვია და აგრძელებს მათ დარღვევას, განსაკუთრებით ერეტიკოსებთან ურთიერთობის საკითხში, ახლა უკვე სქიზმატებთან დაკავშირებითაც. იგი ჩაერთო უკრაინულ ავტოკეფალიაში, თუმცა არ ჰქონდა ამის კანონიკური უფლება და კომპეტენცია. თავიდან ის შეეცადა კნინი ანდა ანგარებიანი ღვთისმეტყველების მხარდაჭერით დაესაბუთებინა ჩარევა აპელაციის შესახებ დებულებით, ანუ რომ მხოლოდ მას, როგორც კიდევ ერთ პაპს, შეუძლია მიიღოს აპელაციები სხვა ავტოკეფალური ეკლესიებში უფლებააყრილი პირებისაგან, იმიტომ, რომ იგი, თურმე, არის არა უპირატესი თანასწორთა შორის (*primus inter pares*), არამედ უპირატესი თანასწორებსა ზედა (*primus sine paribus*), თანახმად ზერელე ღვთისმეტყველთა ახალგამომცხვარი მეტაპატრისტიკული პაპობრივი იდეისა. თუმცა ეს იდეა აქვე უარიყოფა ხელაღებით, რადგან ეწინააღმდეგება ეკლესიის კრებისათად მართვის სისტემას, რომლის თანახმადაც ყველა პატრიარქი ერთმანეთის ტოლია, ხოლო კონსტანტინოპოლის პატრიარქს აქვს უბრალოდ პატივის უპირატესობა, და არა ხელისუფლების უპირატესობა⁴, როგორც ამაზე პრეტენზიას აცხადებს პაპი. ხოლო აპელაციის დებულება ვრცელდება მხოლოდ მისი იურისდიქციის საზღვრებში, და არა სხვა პატრიარქების იურისდიქციებზე. უეჭველი და არასაკამათოა წმინდა კანონიკური გადმოცემა, რომელმაც მოიცვა ჩვენს შორის დიდი ღვთისმეტყველისა და სამართალმცოდნის, წმინდა ნიკოდიმე მთაწმინდელის ღმრთივმართული გონება, რომლის სიდიადის წინაშე უნდა გაიქელოს და უარიყოს შემოთავაზებული ახალი და ფუჭად შესასწავლი იდეები. ვრცელ შენიშვნაში ის კომენტარს უკეთებს IV მსოფლიო კრების IX კანონს, რომელიც განაჩინებს, თუ როგორ უნდა იმოქმედონ ეპისკოპოსებმა და სამღვდლო დასის სხვა წარმომადგენლებმა იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ყოყმანობენ სასამართლო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით მმართველი ეგზარხოსის ან სამეუფეო საყდრის მიმართ. ის განმარტავს წესს საეკლესიო ისტორიის, ასევე სხვა მრავალი წესის შესაბამისად, რომლებიც შემოწმებულია ძველი სამართალმცოდნეებისა და პატიოსანი იმპერატორების ბიზანტიური კანონდებლობების მიერ, და აკეთებს დასკვნას, რომ "კონსტანტინოპოლელს (პატრიარქს) არა აქვს ხელმწიფება იმოქმედოს სხვა პატრიარქების ეპარქიებსა და სამწყსოებში, ამ კანონით მას ასევე არა აქვს მიცემული ნება მთელი ეკლესიიდან აპელაციების მიღებისა". სხვასთან ერთად ის ამატებს გამოცდილი კანონმცოდნის, ზონარას მოსაზრებას, რომელიც ამბობს, რომ "მხოლოდ კონსტანტინოპოლელ პატრიარქს დაქვემდებარებულთაგან იღებს

⁴ კონსტანტინოპოლ პატრიარქი მსოფლიო პატრიარქად იწოდებოდა მაშინ, როდესაც კონსტანტინოპოლი იყო მართლმადიდებლური სამყაროს დედაქალაქი, ანუ სრულიად მართლმადიდებლობის როგორც რელიგიური, ასევე პოლიტიკური ცენტრი. დღეს კონსტანტინოპოლი, როგორც მართლმადიდებლური იმპერიის დედაქალაქი, აღარ არსებობს. ამიტომ უნდა დაისვას საკითხი კონსტანტინოპოლის პატრიარქის სტატუსის შესახებ რეალური ვითარებიდან გამომდინარე. ისიც აღსანიშნავია, რომ დიდების წლებშიც კი კონსტანტინოპოლის პატრიარქი იყო მხოლოდ უპირატესი თანასწორთა შორის და არასდროს ჰქონია ხელისუფლების უპირატესობა სხვა ეკლესიების მეთაურებთან მიმართებით – (მთარგმნელის შენიშვნა).

კონსტანტინოპოლელი პატრიარქი აპელაციებს, ისევე, როგორც რომის პატრიარქს დაქვემდებურებულთაგან იღებს რომის პატრიარქი აპელაციებს⁵.

ამგვარად, როდესაც პატრიარქი ბართლომე დარწმუნდა, რომ აპელაციის შესახებ დებულება ვერ იქნებოდა სხვის იურისდიქციაში მისი საზღვარგარეთული ჩარევის საფუძველი, მან თავისი გულმოდგინე მრჩევლების დახმარებით აღმოაჩინა, რომ 333 წლის გასვლის შემდეგ უკრაინა (უკრაინის ეკლესია) მიეკუთვნება არა რუსეთის ეკლესიის იურისდიქციას, არამედ კონსტანტინოპოლის ეკლესიის იურისდიქციას! დაფარეს ან ყალბად განმარტეს მრავალი ტექსტი და მოსაზრება მისმა უყურადღებო ანდა ამისთვის სპეციალურად მომზადებულმა ღვთისმეტყველებმა, რათა გაეკეთებინათ სასაცილო დასკვნა, რომ, თითქოს, უკრაინის ეკლესიის გადაცემა რუსეთის ეკლესიისთვის დროებითი იყო (სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში დროებით გადასცეს!), და ახლა ეს გადაცემა უქმდება. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ უკლებლივ ყველა ავტოკეფალური ეკლესია დღემდე განუხრელად და უწყვეტად თვლის უკრაინის ეკლესიას რუსეთის ეკლესიის ნაწილად და კიევის მიტროპოლიტად მიიჩნევს ბრძენ და თავმდაბალ მეუფე ონოფრეს.

ამგვარად, უკრაინელი განხეთქილების მოქმედთა აღდგენა უცხო და შემოჭრილი პატრიარქის მიერ და თვითნებურად მათთვის საეკლესიო ავტოკეფალიის მინიჭება, რომლის შესახებაც არ უთხოვია კანონიკურ ადგილობრივ ეკლესიას, მეგობრული საეკლესიო ხელისუფლების აზრის საწინააღმდეგოდ და სრულიად მართლმადიდებლური თანხმობის გარეშე (უმალ სწორედ სრულიად მართლმადიდებლური ართანხმობის პირობებში), აპელაციის დებულების დაუსაბუთებელი და ანტიკანონიკური გამოყენება, და შემდგომ სამი საუკუნის გასვლის შემდეგ სათანადო დოკუმენტების ყალბი განმარტების გზით იურისდიქციის სადაოდ ქცევა, საეკლესიო ხდის ახალ ავტოკეფალიას. განხეთქილების მოქმედნი რჩებიან განხეთქილების შემომქმედებად, ხოლო ერთადერთ კანონიკურ ეკლესიას უკრაინაში წარმოადგენს მიტროპოლიტ ონოფრეს ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი ეკლესია. ამის საწინააღმდეგოდ აქამდე არცერთი ავტოკეფალური ეკლესია (კონსტანტინოპოლის გარდა) არ ცნობს ფსევდოავტოკეფალური "ეკლესიის" ახალ "მიტროპოლიტს", სქიზმატ ეპიფანეს.

ჩვენ მივიჩნევთ არა მხოლოდ უსამართლოდ, არამედ ელემენტარულ ლოგიკას მოკლებულად ზოგიერთების განზრახ სიბეცეს ასეთ მნიშვნელოვან კანონიკურ საკითხთან დაკავშირებით, და მათ ცალმხრივ ჩაცვიკვლას საქმესთან კავშირში არ მყოფ ზოგიერთ საკითხზე, როგორცაა, მაგალითად, რუსეთის ეკლესიის (და არა კანონიკური უკრაინის ეკლესიის) უმაღლესი ხელისუფლების (ძველი და ახალი) წარმომადგენლების ნაციონალიზმი და ეკუმენიზმი, – ყველაფერ ამას ისინი გამადიდებელი შუშის ქვეშ განიხილავენ ანტიკანონიკური ქმედებების გამართლების მიზნით.

მთაწმინდელ მამათა უმრავლესობამ დიდი სიხარულით გაიხარა, როდესაც თქვენ, წმინდა კინოტო, დიდი უმრავლესობით მიიღეთ გადაწყვეტილება, არ გაგვეზავნათ წარმომადგენლები (თვით წერილი სურვილებით) განხეთქილების მოქმედ ეპიფანეს "ინტრონიზაციაზე". ძალიან დაგვამწუხრეს ჩვენ მონასტრებმა, რომლებიც

⁵ საუბარია იმ პერიოდის რომის ეკლესიაზე, როდესაც იგი ჯერ კიდევ იმყოფებოდა ეკლესიის წიაღში – (მთარგმნელის შენიშვნა).

უმცირესობაში იყვნენ და, მიუხედავად ამისა, იგნორირება უყვეს თქვენს გადაწყვეტილებას და მონაწილეობა მიიღეს "ინტრონიზაციაში"! ასევე სიხარულმა გაავსო ჩვენი გულები, როდესაც მრავალი სავანე შეეწინააღმდეგა ახალი ფსევდოეკლესიის "ეპისკოპოსებისა" და "კლირიკოსების" სტუმრობას, ხოლო მწუხარება და აღშოთება დაგვეუფლა, როდესაც ზოგიერთმა, საბედნიეროდ მცირედმა, ნებაყოფლობით მიიღო ისინი, მეტიც, მათთან ერთად იმსახურა!

თქვენო ყოვლადმაღალღირსეულნო, პატიოსანნო მამანო,

– საკითხის სერიოზულების გამო,

– იმის გამო, რომ მთაწმინდურ ცნობიერებას აქვს ავტორიტეტი და გავლენა მსოფლიო მართლმადიდებლობაზე, და, ასევე

– იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ერთობა წმინდა მთაზე,

გთხოვთ:

სრულიადმართლმადიდებლური გადაწყვეტილების მიღებამდე აკრძალოთ ზემოთ ხსენებულ განხეთქილების მოქმედთა შემოსვლა ჩვენს წმინდა ადგილზე, ან თუნდაც მათი, რომლებიც "ისე იქცევიან, როგორც კლირიკოსები". ის, რომ "მთავარეპისკოპოს" ეპიფანეს "ინტრონიზაციას" არ დაესწრო არცერთი ეკლესია და სამი თვის გასვლის შემდეგ არც ერთმა ეკლესიამ არ მიიღო მის "ეკლესიასთან" ერთობა, მიუხედავად მათზე დიდი ზეწოლისა, ვალდებულს გვხდის ჩვენ მივიღოთ ზემოთ მოყვანილი გადაწყვეტილება. ხოლო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ წმინდა მთაზე ხარებისა და შემდგომ აღდგომის დღესასწაულზე მოსალოდნელია სტუმრობის ახალი ტალღები, ვალდებულს გვხდის ჩვენ, გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მივიღოთ.

თქვენ ასევე იცით სხვა წყაროებიდანაც, და განსაკუთრებით საინფორმაციო ტექსტებიდან, რომლებიც გამოგიგზავნათ თქვენ უკრაინის კანონიკურმა ეკლესიამ იმის შესახებ, რომ განხეთქილების "იერარქების" მთავარი ბურჯები (მველნი და ახლანდელნი) განისაჯნენ საეკლესიო (არა მარტო უკრაინის ეკლესიის, არამედ კონსტანტინოპოლისა და ბულგარულისაც) და საერო სასამართლოების მიერ ისეთ უმძიმეს ზნეობრივ დანაშაულებათა გამო, რომლებიც მიუწვდომელია არა მხოლოდ მრევლის, არამედ არაქრისტიანთა გონებისთვისაც! ისინი ასევე განისაჯნენ ცოტახნის წინანდელ ბულგარულ განხეთქილებაში მონაწილეობისათვის, უკრაინელ უნიატებთან კავშირის გამო, სასტიკი დევნისათვის, რომელსაც ისინი საერო ხელისუფლების დახმარებით ეწევიან კანონიკური ეკლესიის წინააღმდეგ უკანასკნელი 5 წლის განმავლოვაში, და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ისინი პატრიარქმა ბართლომემ სცნო, "არქიეპისკოპოს" ეპიფანეს ცოტახნის წინანდელი უხამსი განცხადების გამო მამათმავლობასთან და სხვა მრავალთან დაკავშირებით. დასასრულს, თქვენ გესმით, რომ მათ სტუმრობას ჩვენს წმინდა ადგილზე არავითარი კავშირი არა აქვს მომლოცველობასთან, არამედ მიმართულია მათ მიერ ჩვენი ავტორიტეტის გამოსაყენებლად, რაც, როგორც ისინი ვარაუდობენ, სასიკეთოთ იმოქმედებს სრულიადმართლმადიდებლური იხოლაციიდან მათ გამოყვანაზე და მათი არაკანონიერი მიზნების მიღწევაზე.

ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში, ღმრთის შეწევნით, ეკლესიის უცდომელი კრებისით და წმინდამამობრივი გადმოცემისადმი მიდევნებით, არ დავაყენებთ საფრთხის ქვეშ ჩვენს გადარჩენას განკვეთილ უკრაინელ სქიზმატებთან ურთიერთობით, რადგან ვიცით, რომ ყველა, ვინც ურთიერთობს განკვეთილთან, თავად განკვეთილი ხდება.

ასევე ჩვენ ასეთი ურთიერთობებით ხელს არ შევუწყობთ არც კანონიკური ეკლესიის დევნას, არც განხეთქილების დაკანონებას როგორც ადგილობრივ დონეზე, ისე სრულიადსამართლმადიდებლო დონეზე. ასევე, გვემინია, შიდამთაწმინდურ დონეზე, რაც შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუკი დროულად არ იქნება მიღებული სწორი და თამამი გადაწყვეტილებები.

თქვენი დროული პასუხის მოლოდინში
მოწიწებითა და პატივისცემით,

მოდვარი არსენი მღვდელმონაზონი ძმობასთან ერთად, კუტლუმუშის კელია
"პანაგუდა";

მოდვარი აბრაამ მღვდელმონაზონი ძმობასთან ერთად, კუტლუმუშის სკიტის წმ.
გერასიმეს კალივა;

მოდვარი თეოფილე ბერდიაკონი ძმობასთან ერთად, გრიგორიატის წმ.
უვერცხლოთა "პახომის" კელია;

მოდვარი ნიკოლოზ ბერი, ქილანდარის წმ. დიმიტრის კელია;

მოდვარი იოსებ ბერი ძმობასთან ერთად, აგიოპავლოს წმ. თეოდორეს კელია;

მოდვარი საბა ბერი ძმობასთან ერთად, ქილანდარის წმ. მთავარანგელოზების კელია
"საბაონი";

მოდვარი ნიკოდიმოს ბერი, სტავრონიკიტის წმ. ნექტარიოსის კელია;

მოდვარი გაბრიელ ბერი, კუტლუმუშის წმ. ქრისტოდულოსის კელია;

მოდვარი ევფროსი ბერი ძმობასთან ერთად, კუტლუმუშის წმინდა იოანე
ნათლისმცემლის კელია;

მოდვარი პაისი ბერი ძმობასთან ერთად, ქილანდარის წმინდა მთავარანგელოზების
კელია;

მოდვარი ნიკოდიმოს ბერი, ლავრას წმ. იოანე ღვთისმეტყველის კელია;

მოდვარი არსენი ბერი, კუტლუმუშის სკიტის წმ. გერასიმეს კალივა.